

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

20 აგვისტო 2020 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, მალხაზ ცერცვაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-ს დირექტორი - **ნანა ლილუაშვილი**
ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - **გვანცა სიგუა**
ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი - **თამარ ჟვანია**.
ა(ა)იპ სარაგბო კლუბ „აიეტი“ -ს დირექტორი - **ვალერი როხვაძე**.
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“-ს დირექტორი - **როინ კანკაძე**.
ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი - **გიგა ბუაძე**
ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ის დირექტორი - **ზვიად მინაშვილი**.
ა(ა)იპ ვანის კომინალური გაერთიანების დირექტორი - **კონსტანტინე გაბუნია**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების სამსახურების ინფორმაციის მოსმენა 2020 წლის პირველ ნახევარში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ.

მომხსენებლები: ნანა ლილუაშვილი

გვანცა სიგუა

თამარ ჟვანია
ვალერი როხვაძე
როინ კანკაძე
გიგა ბუაძე
ზვიად მინაშვილი
კონსტანტინე გურგენიძე

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნანა ლილუაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“ს 2020 წლის ფინანსური ანგარიში 6 თვის მონაცემებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი ჯამში განისაზღვრა 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლარით, მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ წლის დასაწყისში ბიუჯეტის ხარჯვის გეგმა/პროექტი სულ სხვა პარამეტრით გვექონდა განსაზღვრული, თუმცა „Covid -19“ პანდემიის პრევენციით გამოწვეულმა რეგულაციებმა მკვეთრად შეცვალა თავდაპირველი კვარტლის მიხედვით გაწერილი გეგმა და 2020 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით უკვე გახარჯულია.

სულ ჯამში: 2020 კალენდარული წლის პირველ ნახევარში, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 20 337.57 (ოცი ათას სამას ოცდაჩვიდნეტი და ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.

/დანართი N2/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებლის არ ყოფნის გამო) სოფო ლოსაბერიძემ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 6 თვის ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 688023 ლარს, ხოლო გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 45.90% ს. (დანართი თან ერთვის)

/დანართი N3/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ჟვანიამ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში .

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურება შეადგენს 155,640 ლარს, მივლინება 175 ლარს, ოფისის ხარჯი 5021 ლარი, აქედან კომუნალური 1560 ლარი, 210 ლარი ინტერნეტი. ტრანსპორტის ხარჯი 2027 ლარი. (სრული ჩამონათვალი ოქმს დანართის სახით თან ერთვის).

/დანართი N4/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებლის არ ყოფნის გამო) ნოდარ ბელთაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში . (ოქმს დანართი თან ერთვის)

/დანართი N5/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებლის არ ყოფნის გამო) გოგა დვალიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სულორი ვანი“ს 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 210 000 ლარს, აქედან ექვს თვეში დახეჯულია 94 960 ლარი რაც არის მთლიანი ბიუჯეტის 45.2%.

(ოქმს ბიუჯეტის ხარჯვის განაწილების დანართი თან ერთვის)

/დანართი N6/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 83000 ლარს, რომელიც 9000 ლარით მეტია 2019 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამებით განსაზღვრულ დაფინანსებაზე. 6 თვეში ხარჯვითი შეადგენს 35967 ლარს. კერძოდ: შრიმის ანაზღაურება - 32580 ლარს. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 3387 ლარს. მივლინება 270 ლარი. კავშირგამბულობის ხარჯი 270 ლარი; კომუნალური ხარჯი 1720 ლარი; ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯი - 1127 ლარი.

/დანართი N7/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად მინაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში.(ოქმს დანართი თან ერთვის)

/დანართი N8/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კონსტანტინე გურგენიძემ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 6 თვის ფინანსური ანგარიში.

ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანებას 2020 წლის პირველ ნახევარში დასაქმებული გვყავს 82 თანამშრომელი. 2020 წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი გვექონდა ბიუჯეტიდან სუბსიდია 234,8 ათასი ლარი.

/დანართი N9/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე